



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №52

2019 წლის 28 ივნისი

ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სოფლებში მდებარე გარე განათების ბოძების შ.პ.ს. მაგთიკომი“-სათვის პირდაპირი გზით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და მასზე საიჯარო ქირის საფასურის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის “ე.გ” ქვეპუნქტისა და 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას პირდაპირი გზით მოახდინოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში მდებარე გარე განათების ბოძების სარგებლობის უფლებით გადაცემა შ.პ.ს. მაგთიკომი“-ზე, მასზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გაყვანის მიზნით.

2. დადგინდეს სოფლებში მდებარე გარე განათების ერთი ბოძის სარგებლობის უფლების წლიური საიჯარო თანხა ორი ლარის ოდენობით;

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ქონების სარგებლობის ფორმით გადაცემის მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) კანონმდებლობით დადგენილი წესის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ნადიმ ვარშანიძე